დანართი №1

2013 წლის 01 მაისს გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვის

შესახებ CON№2-13 (CMR 130082187) ხელშეკრულებაზე

თბილისი 17 12 **2013წ.**

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მისი თავმჯდომარის მოადგილის **იოსებ ქადაგიშვილის** სახით, შემდგომში შემსყიდველი, ერთის მხრივ და **შპს „მაგთიკომი“**, მისი გენერალური დირექტორის მოადგილის **გია კოშორიძის** სახით, შემდგომში მიმწოდებელი, მეორე მხრივ, შემსყიდველი ორგანიზაციის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის – აპარატის 2013 წლის 16 დეკემბრის N6865-2 მოხსენებითი ბარათის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ დამტკიცების შესახებ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმდჯომარის N9 ბრძანების მე-20 მუხლისა და ხელშეკრულების მე-7 მუხლის საფუძველზე, ვთანხმდებით შემდეგზე:

1. წინამდებარე დანართის პრეამბულაში აღნიშნულ მოხსენებით ბარათებში მითითებული საფუძვლიდან და შემსყიდველი ორგანიზაციის საჭიროებიდან გამომდინარე, შევიდეს ცვლილება მობილური საკომუნიკაციო მომსახურების გაწევის შესახებ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ CON№2-13 ხელშეკრულების ღირებულებაში და ხელშეკრულების მე–2 მუხლის 2.1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2.1. ხელშეკრულების საორიენტაციო ღირებულებაა 19 800 (ცხრამეტი ათას რვაასი) ლარი.“

2. აღნიშნული ცვლილება იგულისხმება ხელშეკრულების ყველა იმ ნაწილში სადაც მითითებულია ხელშეკრულების საორიენტაციო ღირებულება.

3. დანართი ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს ხელშეკრულების მოქმედების ვადით.

4. წინამდებარე დანართი წარმოადგენს პირველ პუნქტში აღნიშნული ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს, განიხილება მის სხვა პირობებთან ერთად და ხელშეკრულების ყველა სხვა მუხლი და პირობა რჩება უცვლელი.

5. დანართი შეთანხმება შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად.

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
დეპარტამენტის	**შპს „მაგთიკომი“**
თავმჯდომარის მოადგილე	**გენერალური დირექტორის მოადგილე**
იოსებ ქადაგიშვილი	**გია კოშორიძის**